გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 281 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოში''. დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -61 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის - 13 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 72 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 11 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 76 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები, კერძოდ:

- სოფელ ტირძნისსა და სოფელ დიცში საჭიროა სარწყავი წყლის რეაბილიტაცია;
- სოფელ მერეთის, ზარდიაანთკარის და კოშკების მაცხოვრებლების მოთხოვნაა სოფლებში გაკეთდეს სამარშუტო მოსაცდელები;
- სოფელ ქერეში საჭიროა სანიღვრე სისტემის მოწესრიგება;
- სოფელ ფხვენისსა და სოფელ ტირძნისში მოსაწესრიგებელია ორმოულები;
- საჭიროა სოფელ მეღვრეკისსა და სოფელ ერგნეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
- მიმდინარე პერიოდში გაკეთდა სოფელ ტირძნისსა და სოფელ დიცში მთავარი გზა.
- ასევე დასრულდა სოფელ არბოში სასმელი წყლის რეაბილიტაცია.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფელი ტირძნისი 2023 წლის 20 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ჯაბა იმერლიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ტირძნისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი აკაკი გიუნაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე- მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ჯაბა იმერ და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. სხდომის დღის წესრიგის მიხედვით

სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ჯაბა იმერლიშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ჯაბა იმერლიშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: როინ დემურიშვილმა, ზაზა ტეტუნაშვილმა და დავით გოგლიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი: ჯაბა იმერლიშვილი.